

ბათუმის სამედიცინო აკადემია

დირექტორის

ბრძანება № 01-113

ქ.ბათუმი

12.11. 2019 წ.

**„წლის საუკეთესო სტუდენტის და ჯგუფის გამოსავლენად შერჩევის წესის“  
დამტკიცების შესახებ**

აკადემიის სტუდენტთა სტიმულირებისა და მოტივაციის ამაღლებისათვის „წლის საუკეთესო სტუდენტის და ჯგუფის გამოსავლენად შერჩევის წესის“ და განმახორციელებელი პირების დამტკიცების შესახებ

**ვბრძანებ**

1. დამტკიცდეს „წლის საუკეთესო სტუდენტის და ჯგუფის გამოსავლენად შერჩევის წესი“ თანდართული დანართის შესაბამისად.

2. შერჩევის კრიტერიუმებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესახებ მონაცემების წარმოდგენაზე განპირობებული არიან:

- აკადემიური მოსწრება - ინგა ვარდიძე (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი).
- სტუდენტის მოვალეობათა შესრულების უზრუნველყოფა - გულნაზ მატუა (ფინანსური მენეჯერი), ნარგიზ ბუცხრიკიძე, ნინო უზუნაძე (ჯგუფის კურატორები).
- წესრიგიანობა - ნარგიზ ბუცხრიკიძე, ნინო უზუნაძე (ჯგუფის კურატორები).
- ჩართულობა სტუდენტურ საქმიანობაში, აქტივობები (სტუდენტთა გაერთიანება - გალია ასამბაძე ლიდერი), სოფიო ბრუნჯაძე - მეცნიერ-ხელმძღვანელი), ნანა ანანიძე - პროფესიული მასწავლებელი, ეთერი გოგიტიძე (ბიბლიოთეკის გამგე).

3. პროცესის ორგანიზებისათვის ჯგუფებში შეიქმნას სტუდენტთა სამ კაციანი სამუშაო ჯგუფები. (მათგან ერთი იყოს ჯგუფის მამასახლისი).

4. შეიქმნას პროცესზე დამკვირვებელი ჟიური შემდეგი შემადგენლობით: შორენა უზუნაძე, (ხელმძღვანელი), სოფიო ბრუნჯაძე, ნიგარ შაინიძე, სტუდენტები - მარიკა შავაძე, ვერიკო ჯალალონია.